



შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

საბაკალავრო პროგრამის დასახელება

”ფინანსები და საბანკო საქმე”

- **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
Bachelor of Business Administration
- **საბაკალავრო პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი
- **საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება:** საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების, შიდა/გარე მობილობის განხორციელების და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

• პროგრამის მიზანი

”ფინანსები და საბანკო საქმის” საბაკალავრო პროგრამის მიზანია მომზადდეს შიდა და საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტი, რომელსაც ფართოდ ეცოდინება ბიზნესის სფერო, ექნება დარგობრივი და ტრანსფერული უნარები; პროფესიული მოვალეობების შესრულების, ეთიკური ნორმების დაცვისა და ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის, შემდგომი პროფესიული განვითარების მოტივაცია; სოციალური და მოქალაქეობრივი პოზიცია; პროფესიული და პიროვნული პასუხისმგებლობა და შეძლებს ბიზნესის ადმინისტრირების, ფინანსების სფეროს და საბანკო საქმის კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას; ბიზნესის ფუნქციონალური სფეროების თავისებურებების და ურთიერთკავშირების გაცნობიერებას; ფინანსების თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას; ბიზნესისა და ფინანსების სფეროს კომპლექსური საკითხების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმას და ამის საფუძველზე აღნიშნულ სფეროებში მიმდინარე პროცესების გაცნობიერებასა და გაანალიზებას, შეფასებასა და პრიორიტეტების ადეკვატურად განსაზღვრას, არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბებას და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ფინანსური სტრატეგიის შემუშავებას; ბიზნესისა და ფინანსების სფეროში მიმდინარე პროცესების და საბანკო საქმესთან დაკავშირებული წარმატების თუ წარუმატებლობის გამომწვევი მოვლენების შეფასებას, არსებული პრობლემების იდენტიფიცირებასა და ანალიზს, დასკვნის ჩამოყალიბებასა და არგუმენტირებულ დაცვას, პრობლემის გადაჭრას სფეროსთვის დამახასიათებელი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდების გამოყენებით; ორგანიზაციის ბიზნეს-საქმიანობის შესწავლის და ოპტიმიზაციის მიზნით საფინანსო და საბანკო სისტემისთვის დამახასიათებელი სტატისტიკური მონაცემების და რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზსა და სინთეზს, შედეგების კონკრეტიზებასა და განზოგადებას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში სტრატეგიულად სწორი გადაწყვეტილებების მიღებასა და დასაბუთებას; წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად პრაქტიკული ხასიათის ბიზნეს-პროექტის განხორციელებას, შესასრულებელი სამუშაოსა და დროის რაციონალურად დაგეგმვასა და მართვას (დროის მენეჯმენტს); წინასწარ მიღებული მითითებების საფუძველზე დამოუკიდებლად და სამუშაო ჯგუფში მუშაობას; საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას; ინფორმაციის მოძიებას, მიღებასა და გადაცემას;

ცოდნის განახლებას და პრაქტიკული გამოცდილების გათავისებას; დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება-წარდგენას მშობლიურ და უცხოურ (ინგლისურ) ენაზე, წერით და ვერბალურ კომუნიკაციას სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან; საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულ და მრავალმხრივ შეფასებას, ცოდნის მუდმივი განახლების, მოწინავე გამოცდილების ათვისების აუცილებლობის გაცნობიერებას და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრას და მაგისტრატურაში სწავლას. ყოველივე ზემოაღნიშნული განაპირობებს მზარდი კონკურენციის და ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის პირობებში სათანადო კომპეტენციებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტის ჩამოყალიბებას, რომელსაც შეუძლია პრაქტიკულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში საკუთარი კომპეტენციების და შესაძლებლობების სრული რეალიზაცია და კარიერული წინსვლა წარმატებული საზოგადოებრივი და პრაქტიკული საქმიანობის შედეგად.

• სწავლის შედეგები

საბაკალავრო პროგრამით დასახული მიზნების თანმიმდევრული და სრულფასოვანი განხორციელება უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას:

ცოდნა და გაცნობიერება

- ბიზნეს-გარემოს რეგულირების თეორიების, კონცეფციებისა და ძირითადი პრინციპების კრიტიკული გააზრება;
- ფინანსური სისტემის სფეროებისა და რგოლების ურთიერთკავშირის აღწერა და განხილვა;
- ბიზნესის ადმინისტრირების და ფინანსების სფეროსთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის ცოდნის დემონსტრირება და ტერმინთა განმარტება;
- სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოებისა და კორპორაციათა ფინანსების ორგანიზაციისა და მართვის თავისებურებათა გამოკვეთა;
- ბიზნესის ადმინისტრირების, ფინანსების და საბანკო სფეროს რეგულირებასთან დაკავშირებული თეორიების და კონცეფციების კომპლექსური საკითხების გაცნობიერება და კრიტიკული გააზრება; სფეროს ფართო ცოდნის დემონსტრირება;
- ფინანსური რესურსების მართვის თანამედროვე მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება;
- დაკრედიტების მექანიზმებისა და თანამედროვე საბანკო მომსახურების სახეების კლასიფიცირება;
- ბიზნესის სფეროში, საფინანსო და საბანკო სექტორში მუშაობისთვის აუცილებელი სტატისტიკური მეთოდების დეტალურად ჩამოყალიბება, აღწერა და განმარტება;
- ბიზნესის, ფინანსების და საბანკო საქმის საფუძვლების, საგადასახადო საქმის, ინვესტიციებისა და საერთაშორისო ფინანსების, სავალუტო ბაზრის და ფულის მიმოქცევის, ფინანსური მენეჯმენტის პრინციპების კომპლექსური საკითხების თავისებურებების გაცნობიერება;
- ფინანსების და ფინანსური სისტემის არსის, მნიშვნელობის და სტრუქტურის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების გაცნობიერება;
- საერთაშორისო ფინანსების და ინვესტიციების, სავალუტო ბაზრებისა და ფულის მიმოქცევის კომპლექსური საკითხების ცოდნის დემონსტრირება;
- საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების და ფინანსების პრინციპების, ფინანსური დახმარების ფორმების და დაფინანსების მექანიზმების აღწერა და შეფასება;
- სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებასთან და საბიუჯეტო პოლიტიკის პრობლემატიკასთან დაკავშირებული საკითხების გაცნობიერება და კრიტიკული

- გააზრება;
- საბანკო საქმის სპეციფიკის, საკრედიტო მომსახურების ფორმების აღწერა და ფულის მიმოქცევის თანამედროვე ტექნოლოგიების კლასიფიცირება;
- ორგანიზაციის ფუნქციონირებაში ფინანსური საქმიანობის როლის, ადგილის, მნიშვნელობისა და სპეციფიკის აღწერა, რეგულირების მეთოდების კრიტიკული გააზრება;
- ორგანიზაციებში, მ. შ. კორპორაციებსა და ბანკებში, ფინანსური ანგარიშგების სპეციფიკის გაცნობიერება;
- ორგანიზაციის ფინანსების მართვისა და ფინანსური ანგარიშგების თავისებურებების გამოვლენა და ახსნა;
- ორგანიზაციის ფინანსური მახასიათებლებისა და მაჩვენებლების განხილვა და კლასიფიცირება;
- ორგანიზაციის ფინანსური საქმიანობის ოპტიმიზაციის მეთოდების, ორგანიზაციისა და გარემოს კრიტიკული ანალიზის მეთოდების, სიტუაციათა შეფასების და მოდელირების თანამედროვე მეთოდების დეტალურად ჩამოყალიბება და კრიტიკული გააზრება;
- ფირმის ფინანსების და ფინანსური მენეჯმენტის თეორიული ასპექტების გაშუქება და აღწერა;
- ფინანსური ანალიზისა და შეფასების მნიშვნელობის გაცნობიერება.
- ბიზნესის ადმინისტრირების და ფინანსების საფუძვლების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ურთიერთდაკავშირება და პრაქტიკაში გამოყენება;
- ბიზნესის ადმინისტრირების და ფინანსების სფეროსთვის დამახასიათებელი სტანდარტული და ასევე გამორჩეული, მათ შორის ბუღალტრული და ფინანსური აღრიცხვის მეთოდების გამოყენება მონაცემების და ინფორმაციის შეგროვება-შეფასებისა და პრობლემის გადასაჭრელად;
- კორპორაციის ფინანსურ და ბიზნეს-საქმიანობაზე საბაზრო ეკონომიკისა და სავალუტო ბაზრების გავლენის ფაქტორების გათვალისწინება;
- ბანკებში ბუღალტრული აღრიცხვის სპეციფიკის გათვალისწინება ბანკის ფინანსური და ბიზნეს-საქმიანობის აღწერის მიზნით;
- ორგანიზაციის ბიზნეს-საქმიანობის რეგულირების, დაგეგმვის, ორგანიზების და კონტროლის მექანიზმების, ბიზნეს-საქმიანობის ანალიზის და შეფასების მიზნით სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდების შერჩევა და გამოყენება;
- ორგანიზაციის ფინანსური და ბიზნეს-საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნეს-პროცესების და არსებული პრობლემების იდენტიფიცირება, კლასიფიცირება, ეფექტიანობის გაზომვა, შეფასება და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გადაჭრის გზების დასახვა;
- ორგანიზაციის ფინანსური პოლიტიკის და ბიზნეს-სტრატეგიების ფორმირება-განხორციელებაში მონაწილეობა წინასწარ განსაზღვრული მითითებების საფუძველზე;
- კომპანიების ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის მექანიზმების განსაზღვრა და მსესხებელთა კრედიტუნარიანობის შეფასება წინასწარ განსაზღვრული მითითებების საფუძველზე;
- ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური და საბუღალტრო დოკუმენტების ინფორმაციის თავმოყრა და კლასიფიცირება, საგადასახადო

რეგულაციების გათვალისწინება, ბუღალტრული და ფინანსური აღრიცხვის მექანიზმების გამოყენება და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ფინანსური ანგარიშების მომზადება-წარდგენა;

- ორგანიზაციის ბიზნეს-პროცესის მონაწილეებთან (მათ შორის, ინტერდისციპლინურ) ჯგუფში მუშაობა და წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კონკრეტული სამუშაოს შესრულება, მათ შორის - ფინანსური და საგადასახადო ანგარიშების შედგენა და შესრულებულ სამუშაოზე პასუხისმგებლობის აღება;
- სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის, საოჯახო მეურნეობების, ფირმებისა და კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლების, სადაზღვევო და ფინანსური ბაზრის მონაწილე სუბიექტების ტექნიკური, ორგანიზაციული და ეკონომიკური ხასიათის პრობლემების კვალიფიციური ანალიზი და გადაჭრა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში;
- საგადასახადო პოლიტიკის მექანიზმების, ბიუჯეტის დაფინანსების წყაროების, სახელმწიფო ვალის მართვის, ფინანსური კონტროლის ფორმებისა და მეთოდების, სადაზღვევო და ფინანსური ბაზრის ფუნქციონირების კანონზომიერებათა შესახებ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.
- ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნება, ორგანიზაციის ბიზნეს-საქმიანობაში წამოჭრილი ფინანსური პრობლემების იდენტიფიცირება და ანალიზი, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მათი გადაჭრის სათანადო ღონისძიებებისა და რეკომენდაციების შემუშავება;
- ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესებისა და ტენდენციების გამოვლენა და ანალიზი, ბიზნესის და ფინანსების სფეროსთვის დამახასიათებელი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით სხვადასხვა ინფორმაციის, მათ შორის სტატისტიკური მონაცემების, მოძიება, სისტემატიზაცია, ანალიზი, სინთეზი და შეფასება;
- სავალუტო, საკრედიტო და საფინანსო ურთიერთობების სფეროში პრობლემური საკითხების გამოკვეთის საფუძველზე საკრედიტო-სავალუტო ოპერაციების თავისებურებების გარკვევა და მათი რეგულირების მექანიზმების ანალიზი;
- ფინანსური დოკუმენტების, ფინანსური ინფორმაციისა და მონაცემების შეჯამება, ანალიზი და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
- ფინანსური მეცნიერების თეორიული კონცეფციების განზოგადების საფუძველზე ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ანალიზისა და შეფასების მეთოდების კომბინირება და დიფერენცირება;
- სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით ფინანსური რეგულირების პრაქტიკული მექანიზმების ეფექტურობის ანალიზი, მიღებული შედეგების შეჯერება და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;
- სახელმწიფო და კორპორაციათა ფინანსების სფეროში არსებული მონაცემების და ინფორმაციის შეგროვება, გაანალიზება, საფინანსო კანონმდებლობის რეგულირების გათვალისწინებით სიტუაციის ანალიზი და შესაბამისი დასკვნის ჩამოყალიბება და რეკომენდაციების შემუშავება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში;
- კომპანიის ბიზნეს-საქმიანობის ოპერატიული და სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა და საკუთარი მოსაზრების დასაბუთება.
- ინდივიდუალურად ან ჯგუფში მუშაობისას იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ზეპირი

დასკვნის
უნარი

კომუნიკაციის

უნარი

წარდგენა;

- იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების, წინადადებისა და მოსაზრებების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით გადაცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ინგლისურ ენაზე დიალოგის წარმართვა, საქმიან დისკუსიაში მონაწილეობა, სხვადასხვა თემებზე საუბარი და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, დასაბუთება და მოსაზრებების გადმოცემა;
- ინგლისურენოვანი ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებით, მათ შორის ინგლისურენოვანი ინტერნეტ-რესურსებით სარგებლობა, ინფორმაციის და მასალების მოძიება და ქართულად თარგმნა;
- ორგანიზაციის სტრუქტურულ, ორგანიზაციულ, ტექნიკურ და სხვ. საკითხებთან დაკავშირებული წერილობითი ანგარიშის მომზადება და პრეზენტაცია;
- თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სამუშაოს შესრულების ხარისხის გაუმჯობესების, პრობლემის გადაწყვეტისა და კომუნიკაციის მიზნით;
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება - საინფორმაციო ბაზებთან, პროგრამებთან, ელექტრონულ დოკუმენტებთან, ცხრილებთან და მონაცემთა ბაზებთან მუშაობა და საქმიანი დოკუმენტების შედგენა, ანგარიშების და პრეზენტაციების მომზადება.
- ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის ადეკვატური შეფასება და ცოდნისა და უნარების სრულყოფის მიზნით სხვადასხვა რესურსის, მათ შორის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, სხვადასხვა საინფორმაციო წყაროების და დარგობრივი ლიტერატურის გამოყენება;

სწავლის უნარი

- მოწინავე საერთაშორისო გამოცდილების გამოყენების და ინოვაციების გათვალისწინების აუცილებლობის გაცნობიერებისა და ბაკალავრიატში მიღებული კომპეტენციების სრულყოფის მოტივაციის საფუძველზე საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.
- პროფესიული პასუხისმგებლობა და ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ეთიკური ასპექტების გაცნობიერების უნარი;

ღირებულებები

- პროფესიული, ეთიკური, სოციალური ნორმების ცოდნა და მათი დაცვის პასუხისმგებლობა;
- პროფესიულ სფეროსთან დაკავშირებული ღირებულების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მოტივაცია და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევათა/ცოდნის შეფასება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტების მიხედვით:

- სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით. სასწავლო კომპონენტის შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური

შეფასების 50 პროცენტი. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.

- შეფასების ფორმები, კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისთვის.

შენიშვნა: შუალედური შეფასების ქულა შეიძლება იყოს განსხვავებული სასწავლო კურსის სპეციფიკისა და სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორის მოსაზრებიდან გამომდინარე, შეფასების მეთოდები, ფორმები, კრიტერიუმები და შესაბამისი ქულები მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

პრაქტიკა: აღნიშნული სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება პრაქტიკის ხელმძღვანელის და მენტორის დახასიათების გათვალისწინებით ბაკალავრის მიერ მომზადებული და დაცვის მიზნით კომისიის წინაშე წარმოდგენილი პრაქტიკის ანგარიშის საფუძველზე. პრაქტიკის ანგარიში ფასდება პრაქტიკის ხელმძღვანელის/მენტორის მიერ (მინ. 21, მაქს. ქულა - 60) და პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაცია კომისიის მიერ (მინ. 20 ქულა, მაქს. ქულა - 40). პრაქტიკის ანგარიშის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით კანონმდებლობით დადგენილი სტუდენტთა მიღწევათა შეფასების სისტემის შესაბამისად. მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა. პრაქტიკის ხელმძღვანელის/მენტორის მიერ პრაქტიკის ანგარიშის შეფასების და კომისიის მიერ პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია პრაქტიკის სილაბუსში.

საბაკალავრო ნაშრომი: აღნიშნული სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნის გათვალისწინებით რეცენზენტის შეფასებისა (მინ. 21 ქულა, მაქს. 60 ქულა) და საჯარო დაცვის (მინ. 20 ქულა, მაქს. 40 ქულა) ქულათა ჯამით. საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა სავალდებულოა. სტუდენტის მიერ მომზადებული და დაცვის მიზნით საკვალიფიკაციო კომისიის წინაშე წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომის შეფასების საფუძველზე. დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა, ხოლო მაქსიმალური - 100 ქულა. რეცენზენტის მიერ საბაკალავრო ნაშრომის შეფასების და კომისიის მიერ დაცვის პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში და ხელმისაწვდომია ბაკალავრებისათვის.

სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევათა/ცოდნის შეფასების სისტემა

- უნივერსიტეტში შემოღებულია სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა. შეფასებათა მაქსიმალური ჯამური ქულა (%) უდრის 100;
- შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
 - (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
 - (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
 - (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
 - (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
 - (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
- ორი სახის უარყოფით შეფასებას:
 - (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა (საბაკალავრო ნაშრომის დაცვა) დაინიშნება დასკვნითი გამოცდის (საბაკალავრო ნაშრომის დაცვის) შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ნიშანი F (ჩაიჭრა) მიღების შემთხვევაში სტუდენტი ხელმეორედ შეისწავლის სასწავლო კურსს (ახლიდან ექნება წარმოსადგენი საბაკალავრო ნაშრომი მომდევნო სემესტრში) და ჩააბარებს გამოცდას (დაიცავს საბაკალავრო ნაშრომს).

საკონტაქტო პირი: ქეთევან ნანობაშვილი - ეკონომიკისა და ბიზნესის სკოლის დეკანი, პროფესორი
ტელ.: (+995) 577 57 60 90
ელ-ფოსტა: qeti.nanobashvili@gmail.com